

ზურაბ პაპიაშვილი

თეფში

(ერთმოქმედებიანი პიესა)

გოგი : გარდაცვლილი ჩინოვნიკი.

ლია: გოგის პირველი ცოლი

ციცო: გოგის მეორე ცოლი

მდივანი ქალი: გოგის მდივანი ქალი ძველ სამსახურში.

ცერცვაძე: „კგბ“-ს ყოფილი ოფიცერი

სცენა 1

ლიასთან სახლში.

ლია და ციცო სპირიტულ სეანსს,- თეფშის დატრიალების რიტუალს ასრულებენ.

ლია, ციცო, გოგი.

ლია-ეეჰ , მოდი, დღეს ახალი თეფში ვიყიდე. დაჯექი, მოვალ მეც.

ციცო-უხ შენ რა გითხარი.

ლია-რას დაღევ.(სამზარეულოში გადის)

ციცო-გული ვერ მაქვს რაღაც, თურქული მომიტანე.

ლია-კარგი, დაჯექი.

ციცო-სად იყიდე?

ლია-მშრალ ხიდზე, გოგის ნაკლებს ვაკადრებდი? ძველებურია.

ციცო-ეჰ, ვიცი. ვიცი.(ლია შემოდის ყავით ხელში, ჯდება და სიგარეტს უკიდებს.) რას მიყვებოდი ტელეფონში ?

ლია-რას და თურმე სულ ახალ-ახალი თეფში უნდა გქონდეს დატრიალების დროს.

ციცო-საიდან გაიგე ?

ლია-„სადაურები„-ს ბოლო ნომერში ამოვიკითხე სამი დღის წინ.

ციცო-ეგენი იმდენ სისულელეებს წერენ რომ...არის რა ეგეც ჟურნალი...

ლია-ციცო...

ციცო-ეგენი არ წერდნენ...მეორედ მოსვლის წინ მელოტი პრეზიდენტი გვეყოლებოდა ?

ლია-დააცადე მერე...იქამდე გასცვივდება კიდევ...რა გვეხუმრება... მოკლედ ესეა საქმე სულ ახლებიო...რაც ძვირიანი იქნებაო...

ციცო-უჰ. რა ვიცი, რა ვიცი. ეგ თუ...

ლია-(აწყვეტინებს ციცოს) ხომ ვამბობდი.....ჩემმა გოგოვკომ წინა კვირას იმიტომ არ გაგვცა ხმა.

ციცო- ჩვენმა.

ლია-ხო ჩვენმა.

ციცო-ჯერ შენმა, მერე ჩემმა.

ლია-გაჩერდი ერთი, შენ დროს უკვე აღარაფერი იყო, მოხსნეს და არაფერი შეეძლო. გული მიკვდებოდა.

ციცო-სამაგიეროდ ჩემთან უფრო თბილი იყო.

ლია-ეგ ხო. ამ თანამდებობებმა ჭკუიდან შეშალა კაცი ჩემ დროს.

ციცო-ეხ, ჩვენი გოგოვკო.....

ლია-ვენაცვალე მაგას მე.....ბოლოს მართლა გული იყო ცარიელი. არ დაიჯერებ და ბოლოს უფრო მაფასებდა.

ციცო-კი, მეც არა ნაკლებ... მცხეთა უყვარდა ბოლოს...სულ იქ დავყავდი. ჯერ მომატარებდა სვეტიცხოველს, ჯვარზე ამიყვანდა. მერე „გარაჟების,, ხინკალზე მივყავდი. ციხიდან ყავდა მაგის მფლობელი გამოყვანილი.

ლია-მახსოვს ერთხელ ვტიროდი.....(ცრემლი მოადგება)

ციცო-კარგი ახლა, არ შეიძლება ხო იცი.

ლია-ბავშვი რომ არ გვიჩნდებოდა.....

ციცო-შენც კიდეც ერთი....

ლია-ასე მითხრა, არ გიჩნდება და ნუ გიჩნდება მაგის დედაც მოვტყან, აგე ილიას და გოგებაშვილს სულ არავინ დარჩენიათო.

ციცო-ვენაცვალე მაგას. წამებში ხვდებოდა რა გიჭირდა.

ლია-იმედი იყო.(ტირილს აგრძელებს)

ციცო-ლია.....ხომ გითხარი.

ლია-მაპატიე , მაპატიე გოგი (მალლა იხედება) მასთან მართლაც იდეალურად ვცხოვრობდი. თავს ნამდვილ ქალად ვგრძნობდი, საწუწუნო არაფერი მქონდა. სხვებს კი არ გავდა. ძუნწი ადამიანები ეჯავრებოდა. ამბობდა,- რა ოხრობათ უნდათ რო აგროვებენ, ან იქ რა ჩემს ფეხებს წაიღებენო. პრაქტიკული კაცი იყო. (პაუზა)

ციცო-რა კარგი ყავაა.

ლია-ხო, ჩემს დაქალს ჩამოაქვს.

ციცო-უუჰ, ორგანიზმში დამიარა.

ლია-ეჰ გოგიმ იცოდა ისეთი ყავის ჩამოტანები რომ.....

ციცო-კი, არ ეშლებოდა. ბოლოს რომ დააქვეითეს ბათუმის გარდა არსად უშვებდნენ მივლინებაში, ერთხელ ვიღაც თურქის კაცს გადაყრია და იაფად შანელის სუნამო წაურთმევია.

მე რომ გახარებული ვიყავი, თვითონაც გაბადრული დადიოდა მთელი დღე. (პაუზა) ეექვ გოგი, გოგი. რა დროს დაგვტოვე.(ცრემლი მოსდის).

ლია-მე მარიგებდი შე ქალო. კარგი ახლა.

ციცო-მაპატიე. მაპატიეთ.

ლია-დაანთე ერთი სანთელი აბა.

ციცო-(სანთელს ანთებს) ეჰ ღმერთო შენ გვიშველე.

ლია-გაჩერდი ერთი, არ მწამს არაფრის, გოგის არ წაიყვანდა თავისთან.

ციცო-ხო...ღემრთს ხომ თავისთან კარგები მიყავს.

ლია-მერე ჩვენგან რა უნდოდა.

ციცო-გაჩერდი ეხლა.

ლია-რატო?

ციცო-სამნი რომ არ ვზივართ აქ, არ გიკვირს?

ლია-რასაა რომ ბოდავ?

ციცო-გამანებე ერთი თავი.

ლია-მოიცა, ვინმე ხო არ ყავდა? (ეჭვიანად უყურებს)

ციცო-გამანებე-თქო კაცო, ისე ვთქვი ეგ, ვიხუმრე.

ლია-ხუმრობა უყვარდა, იცოცხლე. (პაუზა) ისე ჯანზე რომ ყოფილიყო და დიდ ხანს ეცოცხლა, მესამეც გვეჯდებოდა აქ. მართალი ხარ.

ციცო-დავაკელი ალბათ რამე.

ლია-ნუ ბოდილობ ერთი. აიღე თეფში.

ციცო-შენ დაიწყებ?

ლია-ტექსტი შენ თქვი.

ციცო-გაჩერდი ერთი, მაშინაც მე ვთქვი, გაიბუტა თუ რა მოუვიდა არ ვიცი მე. მარცხენა ფეხზე ადგა ალბათ. იცოდა მაგან უხასიათობებიც დილით.

ლია-კიი. განსაკუთრებით პახმელიაზე, ბორჯომი თუ გაზგასული არ დახვდებოდა.

ციცო-იცოდა საკუთარი თავის მოვლა და რა გინდა.

ლია-კარგი მე დავიწყებ და ტექსტსაც მე ვიტყვი.

ციცო-კარგი ეგრე მირჩევნია. დაიწყე.

(სცენა ბნელდება.)

სცენა 2

(ლია და ციცო, მაგიდაზე, თეთრ ქაღალდზე ამოტრიალებულ თეფშზე საჩვენებელ თითს ადებენ და ლია შემდეგ ტექსტს ამბობს:)

ლია-უზენაესო და ყოვლის შემძლეო გთხოვ გამოიძახო გოგის სული.

ციცო-გვარი?

ლია-რათ უნდა გვარი, ზეპირად გვიცნობენ. ავიკელით კაცი ყოველ კვირას.

(სცენაზე შემოდის გოგი.)

გოგი-ოჰ, გამარჯობა თქვენი.

ლია-როგორ ხარ მანდ.

ციცო-რატომ არ გამოჩნდი წინა კვირას?

გოგი-სათითაოდ მელაპარაკედ.(ყვირილით ხელებს მაღლა წევს)

ლია-ამას დამიხედეთ.

ციცო-მოვკვდით შენს ლოდინში, ეს კიდეც...

გოგი-საქმეები მქონდა. არ მეცალა.

ციცო-ჩემო სიყვარულო, მანდაც სულ საქმიანობ ალბათ.(ციცოც და ლიაც ტირიან)

გოგი-ნუ ტირიხართ ერთი.

ლია-სხვანაირად ლაპარაკობ. არ მომწონს.

ციცო-პირადი ცხოვრება აიწყო ალბათ. (ცრემლს იწმენდავს, განაწყენებული ხმა აქვს.)

ლია-გეგონება დავაკელით რამე.

გოგი-წავალ იცოდეთ.

ლია-ჰმ, გელოდებიან?

ციცო-უხ ერთი მანდ ვიყო.

ლია-რითი გვჯობია ერთი?

გოგი-გადარიეთ სულ. ხან მართლა მეცოდებით უჩემოდ.

ლია-როგორი ბედნიერი ვიყავი შენთან....(აქვითინდება)

ციცო-ბედნიერები.(ქვითინს იწყებს და ცხვირსახოცს იმარჯვებს.)

გოგი-რა ვქნა . მოვკვდი. მე ხომ არ მინდოდა.

ციცო-ჩემი ბრალია.(ისევ ქვითინებს)

ლია-(ციცოს ამშვიდებს) გაჩერდი ერთი. ნუ დაიწყე. ნუ დაიწყებდა დალევას.

ციცო-ვინ არ მოუხსნიათ.(მშვიდდება)

ლია-დამპალი თემურა წილოსანი პატარა ბიჭივითაა. არაფერზე დარდობს, ბოლომდე გაკოტრდა.

გოგი-ვიცი.

ლია-საიდან?

გოგი-სიღებრი შემხვდა მაგის. გახარებული იყო. წყევლიდა.

ლია-უი ეგეც მანდაა?

გოგი-ნუ გადამრიე. სად იქნება აბა?

ლია-რა ვიცი, დედაჩემის გარდა ყველა ნახე.

გოგი-ნაწყენია ალბათ, აქაც არ მეკარება. გადამაყოლა ერთოთახიან ბინას.

ციცო-ხომ კარგად ხარ მანდ ?

გოგი-გადასარევად, შენი პირველი ქმარი გავიცანი.

ციცო-(ქვითინს იწყებს) უბედური... აქ მაინც ვერ გაგაცანი, არ დაგცალდა.

ლია-რალა უჭირს.

გოგი-(ლიას) შენიანები არ მეკარებიან.....როცა ვჭირდებოდი იცოცხლე. გოგი ისე, გოგი ასე.

გოგი იქეთ, გოგი აქეთ. ვანკასტანკასავით ვყავდი.

ლია-კარგი ახლა. სახლში ხო არ გგონია თავი. მანდ ხარ.

ციცო-ხომ არაფერს გეუბნება, ჩემზე რას ამბობს, ნაწყენია?

გოგი-არა, უთქმელი კაცი ჩანს. სულ თავისთვისაა. ჩაფიქრებული დადის სულ, თითქოს რაღაცას აპირებსო.

ლია-რას საქმიანობ მანდ?

გოგი-კანცლერის პოსტი მაქვს.

ციცო-ხუმრობა იცოცხლე.

ლია-ჩვენ ვიკითხოვ. მკვდრებს ვგავართ.

ციცო-რაც შენ დაგვტოვე.....

გოგი-ნუ დაიწყებთ ახლა.....

ლია-ჩვენ აქ შენზე ვფიქრობთ. შენ კიდეც!

ციცო-კვირაში ერთხელ გამოჩენაც არ გინდა.!

ლია-ძალით გიძახებთ.(ყვირილს ნელ-ნელა იწყებენ. გოგი გაჩერებულია. ციცოს და ლიას ყველა ტექსტი ყვირილის ინტონაციაშია.)

ციცო-შენთვის არასდროს მიღალატია.!

ლია-დღემდე შენზე ვფიქრობ. არსაით გამიხედავს.!

ციცო-შენ რომ მოკვდი ჩემი ცხოვრებაც მოკვდა.!

ლია-თეფშის იმედათ დაგვტოვე.!

ციცო-უხმარ თეფშებს ვხმარობთ.!

ლია-მთელი მშრალი ხიდი მიცნობს.!

ციცო-ძვირფას თეფშებს ვყიდულობთ.!

ლია-ქალებს აღარ ვგავართ.!!!

(სიჩუმე ჩამოვარდება, პაუზაა.)

ლია-(ჩუმად ეძახის გოგის) გოგოოოო გიიიიიიი.

ციცო-გოგიკოოოოოოო

(ხმა არ ისმის)

ლია-(ჩუმად) გოგოიიიიიიი.

ციცო-გოგიკოოოოოოო.

(უცხად ორივე ჩუმდება, მაგიდას დაჰყურებენ.)

ლია-ეეეეეეე....

ციცო-თეფშიიიიი? (გაოცებით)

ლია-უიიე. უიიე.....

ციცო-ეეე, თეფში ხელიდან როგორ გამოგვაცალა მე ამის. (გაოგნებული სახით)

ლია-უყურე შენ, მაინც არ მოგვიყვა არაფერს.

(გოგი სცენიდან ქრება და ისმის მხოლოდ მისი სიცილი. გაკვირვებული ლია და ციცო ერთმანეთს შეხედავენ, სხვა, გადანახულ თეფშს იღებენ და ხელახალი რიტუალისთვის ემზადებიან.)

სცენა 3

თეფშის დატრიალების რიტუალი. გოგის სულს იმახებს მდივანი ქალი.

მდივანი ქალი. გოგი.

მდივანი ქალი-გოგიიიი, გოგი.

გოგი-რა იყო.

მდივანი ქალი-როგორ თუ რა ? არ გამოჩენილხარ და ვნერვიულობ.

გოგი-საქმეები მქონდა. სულ შენთან ხომ არ ვიქნები.

მდივანი ქალი-სხვებიც გყავს ? (მაცდური სახით და გამომეტყველებით)

გოგი-(სარკვეში იყურება) რა, არ უნდა მყავდეს ? თუ გგონიათ რომ.....

მდივანი ქალი-გაჩუმდი, გაჩუმდი. სულ ასე მემასხრებოდი.

გოგი-მერე ?

მდივანი ქალი-მერე, მოკვდი.

გოგი-და შენც ეგრევე.....

მდივანი ქალი-როგორ არ გრცხვენია.

გოგი-კიდევ მე უნდა მრცხვენოდეს ?

მდივანი ქალი-სხვათა შორის მე სულ არ მინდოდა.....ასე იცით.....ჯერ შეგვიყვანთ კაბინეტში, ვითომ საქმე გაქვთ. მერე უხერხულად ათვალაიერ-ჩათვალაიერებას იწყებთ, ვიბნევით. მერე გვეპატიჟებით. თქვენი ისტორიის მოყოლას იწყებთ, როგორ არ გაგიმართლად და ცოლად ის ქალი შეგხვდათ რომელთანაც ბედნიერი არ ხართ. ჩვენც გული გვიჩუყდება და.....(სიჩუმეა) გოგოი, გოგი.

გოგი-(ჩაძინებულს უცხად ეღვიძება) უჰ უჰ , აქ ვარ აქ.

მდივანი ქალი-რა გემართება. მართლა ვინმეზე ფიქრობ ?

გოგი-პრობლემები მაქვს. მეზობლად ხმაურიანი ოჯახი გადმოვიდა. (შეწუხებული სახით) ლამის თავი ამტკიცდეს. ვეღარ ვუძლებ. ყოველ დილით ჩემს მაკლიარს დედის ტრაკს ვაგინებ მაგრამ რათ გინდა. სად იპოვი.

მდივანი ქალი-ხო, შენ ხმაური არ გიყვარდა. ფიქრია და ლეილა ხომ მაგიტომ გაუშვი. ხმაურიანი სიცილის და ლაპარაკის გამო.

გოგი-ნუ, მარტო მაგიტომ არა.

მდივანი ქალი-აბა ?

გოგი-ექვიანი ქმრები ყავდათ. (სარკეში იხედება, თმებზე ხელს ისვამს.)

მდივანი ქალი-ექვიანები კი არა დებილები იყვნენ. საახალწლო ქეიფზე მათ ცოლებს სხვა აცეკვებდა. სულ სადღეგრძელოებზე ლაპარაკობდნენ. ფუ ვერ ვიტან მასეთებს. კაცი რომ ხარ სუფრაზე ყველაფერი უნდა აკონტროლო. თვალებით მაინც. აბა ისე რა კაცი ხარ თუ რაღაცეები გამოგეპარა თვალიდან, მითუმეტეს ცოლი. ჰმ.

გოგი-...ხო და აღარ შემძლია, დილიდან ხმაურს იწყებენ. ხუთი საათიდან მუშაობენ, გერმანელები არიან. რა მიჭირდა სანამ ქართველებთან ვიყავი მეზობლად. სულ ჩუმად იყვნენ, ეძინათ სულ.....ესენი ვინ ყოფილან, ლუდსაც ხმაურიანად ასხავენ. ერთს არ გადამიპატიჟებენ, ძუნწებია. ქართველის ფასს მაგ ამბავში ახლა უფრო ვიგებ. ერთი კათხა ლუდი რომ ქონდეს ჩააფსავს, ორ კათხად გადააქცევს და მაინც შემოგთავაზებს. არა რა სულ სხვა ხალხი ვართ. სულ სხვა გენი გვაქ.

მდივანი ქალი-მოგიკვდი შენ. გული დამეთუთქა. მოგიდულებდი ჩემებურად ყავას. (ცრემლი მოსდის.)

გოგი-ტკბილის ჩაყრა ვერ გასწავლე ზომიერად, გაჩერდი. რაზე ფიქრობდი ნეტა.

მდივანი ქალი-სულხანზე, ადმინისტრატორი რომ იყო.

გოგი-მაგ ბოთეზე ?

(იციანიან)

მდივანი ქალი-ერთხელ კინოშიც მოუნდა დაპატიჟება, თავი გამიტოლა. ჰმ, იცოცხლე, ცივი უარი ვდრუზე. (პაუზა) რა, ეჭვიანობდი?

გოგი-იუმორი ძველებური გაქვს.

მდივანი ქალი-რა , არ ეჭვიანობდი? აბა ფარდას რომ წევდი ხოლმე ჩუმად ?

გოგი-მორჩი ახლა. გენდობოდი.

მდივანი ქალი-მეც გენდობოდი, მთლა მასეც კი არ იყო.

გოგი-პასუხი მაინც არ გამეცი. (უცბად ბრაზდება)

მდივანი ქალი-(იბნევა) რა , რა, რაზე უნდა გამეცა? რამე მკითხე ?

გოგი-მგონი გკითხე. ?

მდივანი ქალი-ა, აღარმახსოვს. (იბნევა, ხელის თითებს აწვალავს.)

გოგი-რეეეეზოოო.

(პაუზაა)

მდივანი ქალი-ხომ გითხარი, მე სულ არ მინდოდა-თქო.

გოგი-იძალავა ? კაბა შემოგახია ? პირზე სკოჩი დაგაკრა ? დაგაბა ?

მდივანი ქალი-გაჩერდი. ასე მხოლოდ შენ ერთობოდი. სხვათა შორის შენს კაბინეტში მათრახი დახვდა.....მგონი რაღაცას მიხვდა. ხელში აიღო .

გოგი-მერე ?

მდივანი ქალი-დახედა და თავის ადგილზე დადო. „კარგი უფროსი იყოვო,, და შენს სურათს შეხედა.

გოგი-უუუუუუ. ზემოდან არ მოვეხსნე,- სამსახურიდან.....მაგათ ვაჩვენებდი.

მდივანი ქალი-გაჩერდი ერთი. პირველი მე განვიცადე.(პაუზა) ვბრაზდებოდი რომ წარმოვიდგენდი შენს ცოლთან როგორ იქნებოდი სულ. შენი მოხსნა იქნებოდა...

გოგი-ცოლთანაც აღარ მეცხოვრა ?

მდივანი ქალი-რა ვიცი. სვხანაირად ჭიკჭიკებდი დამთავრებისას. „შენ სულ სხვა ხარო, ნამდვილი ცეცხლი ხარო, შენი ფასი სულ სხვააო, სულ გამყვებაო,,.

გოგი-დამთავრება არ ქვია მაგას. რამდენჯერ გითხარი,-გათავება ჰქვია.

მდივანი ქალი-უჰ, ხო იცი ეგ სიტყვა არ მიყვარს. ნუ მათქმევიებ.

(გოგი ამ დროს სასქესო ორგანოზე ხელს იდებს და უხერხულდ, ჩუმად ღმუის.)

გოგი-კაი , გაჩერდი ახლა. ნუ გამაგიჟე მთლად.!

(მშვიდდებიან)

მდივანი ქალი-იცი, მანდ რომ მოვალ, ისევ შენი მდივანი ვიქნები. ხო ? (ემმაკური ღიმილით. პირში თითს იდებს.)

გოგი-კი . კი. იმათ თუ არ დაგასწრეს. (ცოლებზე)

მდივანი ქალი-იმ დღეს შემხვდნენ. თეფშების მთელ ყუთს ყიდულობდნენ. ახალგაზრდებივით გამოიყურებოდნენ. მათ რა მოკლავს.....წუხელ ისე ცუდად ვიყავი....

გოგი-(ყვირილით) რაა? !

მდივანი ქალი-ხო, ცუდად ვიყავი გოგი, რატომ ბრაზობ, ამის უფლებაც არ მაქვს?

გოგი-რას ყიდულობდნენ? !

(პაუზაა, სიჩუმე.)

მდივანი ქალი-თე, თე, თეფშებს ყიდულობდნენ. რა დებილი ვარ, არ უნდა მეთქვა?

გოგი-(წრიალს იწყებს) გადავირევი ! გადავირევი ! აღარ შემიძლია !

მდივანი ქალი-დაწყნარდი. ყუთს გარედან თეფში ეხატა. იქნებ სხვა რამე იყო.

გოგი-გაჩერდი ერთი. ძან კარგად ვიცი რაც იქნებოდა.

მდივანი ქალი-ნეტავ არ მეთქვა. (ენაზე იკბენს და თითებს იკვნეტს.)

გოგი-მართლა ეს რა მითხარი. ამდენის ატანა აღარ შემიძლია. ალბათ იქეთ კვირაში....

მდივანი ქალი-რა ? რა იქეთ კვირაში? გოგი ?

გოგი-არაფერი, ისე ჩემთვის ვთქვი.

მდივანი ქალი-(დაბნეულია) ნეტავ სულ არ მეთქვა.

გოგი-შენ რა შუაში ხარ. ავლელი პატარაზე. კაცი ვარ ბოლოს და ბოლოს.

მდივანი ქალი-უხ, ნეტავ მანდ რატომ არ ვარ. დაგაწყნარებდი. წვეთები გააქვს?

გოგი-ნუ შაყირობ ერთი.

მდივანი ქალი-არ ვშაყირობ. შენ გგონია მანდ არ უნდა თავს მიხედვა? ხელმეორე სიკვდილი გინდა ? ამას ველარ გადავიტან.

გოგი-გაჩერდი ერთი. ერთხელ ხომ მოვკვდი, მეტი რაღა საჭიროა. დამპალი თემურა წილოსანი პატარა ბიჭივითაა თურმე. სულ გაკოტრებულა და მაინც იხტიბარს არ იტებს.

მდივანი ქალი-(ცრემლებს წამოყრის) ოოხ ღმერთო.

გოგი-გაჩერდი. გული მიღონდება. ასეთს ნუ გხედავ. მთლა უგულო კი არ ვარ.(ცხვირსახოცს იღებს და თვალებს ისრისავს.) დაგტოვე შენც მარტო.....გათხოვილიყავი მაინც, გაგამზითვებდი. ან თავიდანვე გათხოვილი ყოფილიყავი, როგორც ზახარიჩს ყავდა მდივანი. ცოდო ხარ მარტო. წყლის მომწოდებელი გინდა, დამლაპარაკებელი. ხელფასს თუ მაინც გაძლევს კარგს?

მდივანი ქალი-(აზლუქუნდება) კაცი ხარ. იდეალისტი ქალის არაფერი გესმის. (პაუზა) შენ მინდოდი შენ ! (პაუზა) რა ჯანდაბათ მინდა მაგის ხელფასი. ღორივით ხვნეშის. აღარ შემეძლია მეც, მარა, ასაკში ვარ. ტესტების ჩაბარება მე აღარ შემეძლია და არაფერი. უნარებიო, ისაო ესაო ფსიქოლოგიაო. ვორდიო , ექსელიო. მე მარტო საბეჭდ მანქანაზე ვიცი მუშაობა. კომპიუტერზეც მასწავლა აკრეფა სტაჟიორმა. მარტო ტექსტების აკრეფა ვიცი და უფროსთან ფურცლების შეტანა. რაღაც აპარატები დაგვიდგეს. ჭიქას მიადებ და ყავა ისხმება....ჩვენ აღარავის უნდივართ.....არა და ჩემნაირად ყავას არავინ ადულებს.

გოგი-უუუხ. სულ წაილეკა ქვეყანა. გაგიჟებას ვარ აქ კაცი, რეები მესმის პირდაპირ.

მდივანი ქალი-მაპატიე. ამომხეთქა უცეფ.

გოგი-მოგიმატოს ცოტა , მაგ დამპალმა. რა იქნება. ჰმ ალბათ სხვაც ყავს სარჩენი. ან და რას დაიკლებს...მოაჯდა სხვის აწყობილ საქმეს. დედა ვატირე....

მდივანი ქალი-აღარ მინდა მაგ ღორზე საუბარი. ძალით ნუ მახსენებ.

გოგი-გული მისკდება, როცა წარმოვიდგენ.....(პაუზა, თქმა უჭირს)

მდივანი ქალი-რას გოგი?

გოგი-რას და.....იმ მატლებით სავსე ღორი მუცელით რომ გაწვება ზემოდან. უუუუხ. (მუშტს კრავს)

მდივანი ქალი-კანონის რომ არ მეშინოდეს გავუყრიდი რამეს და შენთან წამოვიდოდი. (ქვითინებს)

გოგი-(ცხვირსახოცს სახეზე მოისვამს.) რა დავაშავე, რატომ მოვკვდი. ცუდ დროს დაგტოვეთ.

მდივანი ქალი-რაა?

გოგი-ნუ , იმათ რა უჭირთ, თეფშებს ყიდულობენ მაინც.

მდივანი ქალი-იმათზეც ფიქრობ ? (ნაღვლიანად)

გოგი-ისინიც ქალებია. მეცოდება. სად წავიდა შენი სათნოება, ქალური სოლიდარობა. სულ ეს ხარ ?

მდივანი ქალი-გავბოროტდი თითქმის. ნაოჭებიც გამიჩნდა. ქალი აღარ ვარ მგონი.

გოგი-ხომ გთხოვე. მეც კაცი ვარ. გული მაქვს. გაჩერდი.

მდივანი ქალი-მაპატიე. მარტო შენ გიშლი გულს. რა ვქნა. შენ კიდევ იკარგები კვირაობით. ოხ როგორ ბერაზობ ხოლმე. სიზმრებსაც ვერ ვნახულობ კარგს. ამ ბოლო დროს სულ არ დამსიზმრებია.

გოგი-რა ვქნა. ხანდახან მეც მინდა გარემოს გამოცვლა. აქაც აირია ყველაფერი. ვისი ვისაშია ვერ გაიგებ. როტაცია აქაც არის, ტერიტორიული გადაადგილებები...წრეზე გვატარებენ...ხო და მიკარგული ადგილი ვიცი, იქ მივდივარ ხოლმე. (პაუზა) ერთი ადგილია, არმაზის ხეობას გავს. ჩამოვჯდები იქ და მანდაურობაზე ვფიქრობ... (პაუზაა)

(შემდეგი დიალოგები თითქმის ჩურჩულით მიდის.)

მდივანი ქალი-მოგიკვდი გოგი შენ.

გოგი-კარგი ახლა, რამდენჯერ უნდა მოკვდე.

მდივანი ქალი-რამდენჯერაც მომენატრები.

გოგი-ისევ ხუმრობ ?

მდივანი ქალი-სანამ თავი მაქვს.

გოგი-ოხუნჯი ხარ.

მდივანი ქალი-როგორ გიყვარდა ეგ სიტყვა. ბებომ გასწავლა ხო?

გოგი-შენც გახსოვს ?

მდივანი ქალი-სულ მაგას დააყოლებდი ხოლმე.

გოგი-ეხ მაკრინე ბებია.....

მდივანი ქალი-კარგი ახლა, არ დაიწყო ტირილი. ხომ იცი მეც ამივარდება უცეფ.

გოგი-ას ქალს და ორას კაცს ჯობდა.

მდივანი ქალი-საქმით ?

გოგი-რითაც გინდა. როგორც გინდა. რვა შვილი ყავდა თხუთმეტი წლისა გათხოვდა და სამ წელში დაქვრივდა.

მდივანი ქალი-ქალიც ეგ ყოფილა.

გოგი-ეგ თქვი შენ. შვილებს არაფერს აგრძნობინებდა...მამებზე საერთოდ არ ელაპარაკებოდა.

მდივანი ქალი-არ გინახავს, მანდ ?

გოგი-არა. ეტყობა ქმართან ერთად გადაიკარგა.

მდივანი ქალი-მანდ რომ მოვალ ჩვენც გადავიკარგოთ სადმეს.

გოგი-კარგი ერთი. ავმჩატდი კაცი.

(სცენა ბნელდება.)

სცენა 4

საიქიო.

გოგისთან-სახლში.

გოგი. ცერცვაძე .

(სცენა იწყება ბაზრის კომფლიქტით, სადაც გოგის ეჩხუბებიან ბაზრის მოვაჭრე ქალები. ისმის მსუბუქი უცენზურო სიტყვებიც. შემდეგ სცენა ბნელდება. განათებულ სცენაზე ჩანს გოგის მისაღები ოთახი და ნაწილობრივ სამზარეულოც.)

ცერცვაძე-კარგათ ხარ მოწყობილი. თანამდებობა გეჭირა ?

გოგი-არა, არც ისეთი. ვცდილობ ნორმალურად მქონდეს ყველაფერი. ხომ იცით მარტო კაცის ამბავი. (სუფრას შლის)

ცერცვაძე-არავინ გყავთ ? (ემმაკურად იყრება აქეთ-იქით სახლში.)

გოგი-არაა. ვერავინ შემხვდა.

ცერცვაძე-გაცივდა ხალხი.

გოგი-ყველას წარმატებული უნდა , ფულიანი. ახლა ცოტა უმუშევრად ვარ. (დარცხვენით)

ცერცვაძე-ხო. საკაცობრიო პრობლემაა. აი მე რომ ქალი შევირთე, მხოლოდ ხუთი თეფში , მაგდენივე წყვილი დანა-ჩანგალი და ერთი „ტომზოჩკა,, მქონდა. მამაჩემს გავეყარე და ნაქირავებში ვცხოვრობდით. არავინ გვეხმარებოდა.

გოგი-ხო, რთულია ახლაგაზრდა ოჯახისათვის. ტრადიციული პრობლემაა.

ცერცვაძე-არა. ორმოცის ვიყავი.

გოგი-არ ხუმრობთ ?

ცერცვაძე-უარესს გეტყვი. სამი შვილი გავაგორეთ.

გოგი-ისე ერთ პროკურორს მეც ვიცნობდი...სწავლას გადაყვა და ცოლი ორმოცდა ათი წლის ასაკში მოიყვანა. ეგრევე ორი ტყუპი გაუჩნდათ.

ცერცვაძე-კაციც ეგ ყოფილა ძმაო.

(იციანიან. სიჩუმე ჩამოვარდება.)

გოგი-რას დალევთ ?

ცერცვაძე-ყველაფერს. უჭ, ვიხუმრე. (იციანის)

გოგი-ღვინო მაქვს. წითელი, ნაჩუქარი.

ცერცვაძე-ღვინოვ კახუროო, ვარ შენი მსმელიიიი. ეუუუუხ ! (წაიმღერებს, მუშტს გაიქნევს.)

გოგი-მღეროდით ?

ცერცვაძე-ეჭ, ჩემი გუნდის მასწავლებელს რა ვუთხარი. ხმა გამიფუჭდა და გამომიშვა თორე...

გოგი-გამოშვება კარგი იციან. არ კითხულობენ სად გიშვებენ.

ცერცვაძე- მერე იცოცხლე...სუფრებზე სუ წამყვანი ვიყავი სიმღერაში.

გოგი-(ღვინოს დაუსხავს) მიირთვიო. (სამზარეულოში გადის)

ცერცვაძე-ერთი სუხოიზე ვხიო. (ჯერ გადაკრავს) გაგვიმარჯოს.

გოგი-გაიხარეთ. შეგერგოთ.

ცერცვაძე-(პირზე ხელს მოისვამს) ახხ, კარგი იყო.

გოგი-მოგეწონათ ?

ცერცვაძე-რას ამბობ. სადღა ნახავ ასეთ ღვინოს. გათახსირდა ქვეყანა. ლამის შარდი შემოგთავაზონ ალკოჰოლიანი.

გოგი-ჰა ჰა , კარგი იუმორი გაქვთ. მე ახლავე მოვალ, რაღაცეებს ვამზადებ.

(სამზარეულოში გადის. წინსაფარი აქვს აფარებული. ცერცვაძე კი დაკვირვებით, აგენტისათვის დამახასიათებელი თავის მოძრაობით, დაკვირვებით ათვალისკვით კედლებს, ჭერს და ზოგადად ყველაფერს რაც თვალში ხვდება. გოგი შემოდის და შემწვარი ქათამი შემოაქვს.)

ცერცვაძე-ოჰ ოჰ ოჰ ოჰ, იფ იფ იფ იფ , რა სუნი შემოყვა. (ხელებს იფშენეტს. ქათამი ჯერ დადებული არ ააქვს მაგიდაზე გოგის, რომ ცერცვაძე მოტანისთანავე ქათამს, ბარკალს მოაგლიჯავს და პირში გაიქანებს. გოგი დაბნეულია, ცდილობს არ შეიმჩნიოს.)

გოგი-მიირთვით, მიირთვით. ცოტა დამებრაწა, უფრო დამეწვა,-ვიდრე დამებრაწა.

ცერცვაძე-რას ამბობ. ვინ დაეძებს. მთელი დღე მშიერი ვარ ძალივით. ეს ჩემისეუბი კარგს არაფერს გაჭმევს სახლში.

გოგი-მიირთვით რამდენიც გენებოთ. ოჯახის ქათამია.

ცერცვაძე-ოოო, მთლად უკეთესი.

გოგი-აი ტყემალიც. ესეც ოჯახისაა.

ცერცვაძე-მოკლედ ყველაფერი ნატურალური გაქვს. ფაქტიურად ავტონომიური სამოთხე გაქვს აქ. ჰა ჰა ჰაააა.

გოგი-(მორცხვად) აქ ხალხს ისე უჭირს, მრცხვენია კიდევ.

ცერცვაძე-ფეხზე უნდა დაიკიდო. სხვა რაში განაღვლებს. შეირგე რაც შესარგებია. ქრისტე ხო არა ხარ სხვებზე იფიქრო.

გოგი-სხვისთვის არ წამირთმევია. წესიერად ვცხოვრობდი.

ცერცვაძე-სუ ვერაფერი იშოვე ?

გოგი-ეხ , ვინ რას გამოვნიხებდა. პატივს თუ გცემდა ვიღაც.

ცერცვაძე-მარტო პატივისცემის ხარჯზე, ჩემი მტერი იყოს. იმ კინოში როა, მიდექი-მოდექი, ხალხი შეაწუხეო, ტყუილად კი არაა. ისე კაი კინოა. საწყალი კაცი სულ იჩაგრება ყოველთვის. ის როა კაცო...ხომ გახსოვს...შაბიამანი მოვიტანეთ მარა არ გვჭირდებაო...

გოგი-კი კი , ცისფერი მთები. კიდევ დაგისხავთ.

ცერცვაძე-დაასხი თორე აღარ შემიძლია, გავთავდი კაცი.

გოგი-(უსახვს. თვითონაც დაისხვას) მე ძალიან ცოტას ვსვამ. ეგრევე თავში მივარდება.

ცერცვაძე-ხომ არ აპათოლოგებ ? (ხარხარებს)

გოგი-არა. დიდი-დიდი ღამე ვისეირნო.

ცერცვაძე-ოო, რომანტიკა გყვარებია. მერე, ვერავის გადაეყარეთ ? ისეთს, სათქვენოს თორე ბოზები ყრია. აი ახლაც გავიდეთ თუ გინდა.

გოგი-სად მაქ მაგათი თავი. ძირითადად ისტორიებს მიყვებიან.

ცერცვაძე-რათ უნდა ისტორიები. მიიყვანე ლოგინთან და.....ზოგს ლოგინიც არ უნდა, ადგილზე შვრება.

გოგი-გაუკუღმართდა ქვეყანა. როგორ, ფეხზე ?

ცერცვაძე-ხო, ნახადო. შეუყოფ ფეხზედამდგარი და მორჩა.

გოგი-თუ არ დავწექი არ შემიძლია. წნევა მიწევს. ვენების გაგანიერებას რომ თავი გავანებოთ.

ცერცვაძე-ერთი შეხედვით არ გეტყობა. ავადმყოფობ?

გოგი-საერთოდ არა. სამსახურიდან გამომყვა. სულ ვმუშაობდი, თავს ყურადღებას აღარ ვაქცევდი. წნევებმაც ბოლო წლებია შემაწუხა.

ცერცვაძე-ძალივით ვარ. ექიმებს არ ვეკარები. არავის ვენდობი.

გოგი-ასე არ შეიძლება. თავს უნდა მიხედოთ.

ცერცვაძე-აი ჩემი თავის მიხედვა.(ღვინოს ისახავს თავისით. ქათამს მეორე ბარკალსაც მოაგლიჯავს და ჭამს.)

გოგი-ეხლავე შემოვალ, ხილს მოვიტან.

ცერცვაძე-ხილი რათ მიხდა , ხორციანი მოიტანე რამე. ხორცი მომენატრა.

(გოგის არ ესმის მისი ნათქვამი და ლამაზი თეფშით დაჭრილი ნესვი შემოაქვს.)

ცერცვაძე-კიდე ხილის თავი გაქვს , კინაღამ გაგლახეს .(იცინის) არა რომ არ ვყოფილიყავი, შეიძლება იმ ქალს ეცემე.

გოგი-(უხერხულად იღიმება) კიდევ კარგი გამოჩნდით. წონაში მომატყუა. საერთოდ ჩემი სასწორით დავდივარ, დღეს რა დამემართა არ ვიცი. წინდახედულობა არ მაკლია.

ცერცვაძე-ამათ გინება უნდა, ფერება კი არა. ზოგი შვილს იფიცებს, არა და არ ყავს. ხუთ კილოში ერთ კილოს გატყუებენ. ადამიანობა აქვთ დაკარგული.

გოგი-თავი შეურაწყოფილად ვიგრძენი. ეს არ მომსვლია. ხურდას სულ ვუტოვებდი, თბილად ვექცევი. თურმე ვინ ყოფილან.

ცერცვაძე-გადამრევ შენ. მაგიტომაც მოგექცნენ მასე. მე რომ არ ვყოფილიყავი.....თან მაგათ ჯგუფურად იციან თავდასხმა და ცემა. დაგესევა ხუთი-ექვსი ქალი და....რომ იცოდე რას ჩხუბობენ. ერთხელ ვიხუმრე, აფხაზეთში ეგენი გაუშვით და ერთ საათში დააბრუნებენ-თქო.

გოგი-აფთრებს გავდნენ პირდაპირ. შემეშინდა კიდეც. კიდეც კარგი შემნიშნეთ.

(ცერცვაძე სიამაყისგან წელში გასწორდება და ღვინოს ისხავს.)

ცერცვაძე-გათახსირებულეზია. თავზე ხელი აქვთ აღებული, ყველაფერზე მიდიან. წესიერი კაცის ცნობა არ იციან და ყველას „პაგალოვნად,, ატყუებენ. ფულის გულისთვის რას არ აკეთებენ. ბოზებისგან რითი განსხვავდებიან ვერ გავიგე. ეგენი არ გატყუებენ მაინც.

გოგი-ცუდი არაფერი მითქვამს. წონაში აკლიათქო, მხოლოდ ეგ ჩავილაპარაკე. ეს რა ვნახე, ცილს მწამებდა ხელით შემეხოვო.....ღმერთი, რჯული. კიდეც კარგი პოლიცია არ იყო....უმტკიცე მერე.

ცერცვაძე-პატიოსნებას გაუმარჯოს. (გადაკრავს)

გოგი-გაუმარჯოს. სადღაა. (მოწრუპავს)

ცერცვაძე-აქ ვართ. აქ. ეუხ, რა ღვინოა.

გოგი-რამე მიატანეთ.

(ცერცვაძეს უკვე ქათმის სხვა ნაჭერი უჭირავს ხელში და ჭამს.)

ცერცვაძე-ყველას თავი არ უნდა გაუყადრო. ყველას თუ კარგად მოექეცი, თავზე დაგაჯვამენ, ეგ დაიმახსოვრე. წესიერი კაცი ხარ, დაგჩაგრავენ აქ. ცოტა უნდა გამოფხიზლდე. სულ მე ხო არ ვიქნები.

გოგი-მთელი ცხოვრება ადამიანებს კარგად ვექცეოდი. შეიცვალა ყველაფერი.

ცერცვაძე-მკაცრად უნდა მოექცე და მაშინ დაგაფასებენ. თავმდაბლობით გაკეთებული საქმე გინახია შენ ? მკაცრად უნდა მოექცე ! დედა უნდა უტირო და მერე დაგაფასებენ ! დამიჯერე მე !

გოგი-ფუი ეშმაკს, ეს რა ვნახე.

ცერცვაძე-უნდა მოერიდოთ. სასწორი ატარეთ სულ.

გოგი-მანდ აღარ მივალ.

ცერცვაძე-რა აზრი აქვს, სულ ეგრეთებია ყველგან.

გოგი-რა უბედურებაა. არ მეგონა აქაც თუ მასე იქნებოდა.

ცერცვაძე-ესენი რა, იქიდან არ მოვიდნენ, აქ. თუ გგონია რომ შეიცვლებოდნენ. მაგათ არაფერი შეცვლის. ტყუილი სისხლში აქვთ გამჯდარი უკვე.

გოგი-რა ვიცი. იქ რომ ვიყავი, აქ ყველაფერი კარგადააო. ასე გეუბნებოდნენ. ფუ, სამართალი არსადაა.

ცერცვაძე-თუ კაცი ხარ ერთი. ეგ მღვდელბი ეუბნებიან მასე ხალხს თორე...გავვიშვან აბა აქედან იქ .

გოგი-მიირთვით, გადაიღეთ რამე, სულ გავერთე ლაპარაკში.

ცერცვაძე-ცუდია სულ მარტო რომ ცხოვრობ.

გოგი-რა ვქნა. ეტყობა აქ ეგრე მარგუნა .(მაღლა იყურება)

ცერცვაძე-არა! თქვენ უნდა შეძლოთ. ვინმე უნდა მოძებნოთ.

გოგი-ასე ადვილი არაა. გადაიღეთ, კიდევ ჭამეთ.

ცერცვაძე-კაცობრიობა წახდა. მარტო არ უნდა იყო, დაიჩაგრები. მეტიც, ცოლად მამალი ქალი უნდა შეირთოს შენნაირმა კაცმა. არ გეწყინოს ოღონდ.

გოგი-როგორ, ისეთები ?

ცერცვაძე-თუნდაც .

გოგი-გამორიცხულია. ასეთს სახლში ვერ ავიტან. წნევას გულიც დაემატება და ეგაა.

ცერცვაძე-აბა შენნაირი მორიდებული და საწყალი გინდა?

გოგი-რა ვქნა. ისეთი ვერ გავხდები. არც ცოლს მოვიყვან მაგნაირს.

ცერცვაძე-ცოდო ხარ. მეცოდება მარტო კაცები.

გოგი-ერთი-ორი მეგობარი მყავს, იმათთან მივდივარ ხოლმე.

ცერცვაძე-მეგობრები კარგია მაგრამ, ვიღაცამ ხომ უნდა მოგხედოს.

გოგი-ყველაფერს მე თვითონ ვიკეთებ. ციდან ხომ არა ვარ.

ცერცვაძე-ერთი მეზობლის ქალია. განათხოვარი კია მაგრამ ცეცხლია. ოქროს ხელები აქვს. ახალგაზრდა რომ იყო, ქმარი რუსეთში წავიდა და გადაიკარგა. მას მერე მარტოა. რა ვიცი თუ....ა ? (ეშმაკურად უყურებს გოგის)

გოგი-რა გითხრად აბა.

(სიჩუმე ჩამოვარდება)

ცერცვაძე-რა სიჩუმეა.

გოგი-სამზარეულოში გავალ.

ცერცვაძე-აჰ , აჰ, არსად არ გახვალ. ყველაფერია. გავსკდი. ახლა უნდა ვიმღეროთ.(უკვე მთვრალია)

გოგი-მე სიმღერა არ ვიცი. მოგისმენთ.

ცერცვაძე-მარტო სიმღერა კი არა თეფშზეც ვუკრავ, აი.

(ცერცვაძე მორჩენილი ნესვის ცარიელ თევზს ატრიალებს და დაკვრას იწყებს. უცბად თევზს ინსტიქტურად დახედავს და შეშდება. თვალებიც გამტერებული აქვს. სიჩუმეა. ორივე დაბნეულია.)

ცერცვაძე-ეს....ეს რა , არის....

გოგი-რაზე მეუბნებით, ვერ ვხვდები. (თევზისკენ მიდის)

ცერცვაძე-აქ საიდან მოხვდა ! ეს ხომ ჩემი თევზია ?!

(გოგი თევზს დახედავს , რომელსაც უკანა მხარეს აწერია „ცერცვაძე 1978,“)

გოგი-მე .(პაუზაა) მე ეს არ ვიცოდი. ეს წარწერაც არ შემინიშნავს. ცერცვაძე ხართ?

ცერცვაძე-არა ! დადიანი ! საიდან გაქვთ ?! ესეც გამოგიგზავნეს ! ესეც გაჩუქეს ! ესეც ოჯახისაა ?!
ესეც ნატურალურია?!

გოგი-იცით....ჩემმა ცოლებმა.....

ცერცვაძე-ცოლებიც გყავს? იტყუები. პატიოსანი კაცი მეგონე.

გოგი-(აზლუქუნდება) ამით მიძახებდნენ.....

ცერცვაძე-რეებს ბოდავ ! ვერ დამიძვრები ! რას ვიფიქრებდი რომ აქ ვნახავდი თევზებს,
რომელიც სახლიდან მომპარეს.(დადის , ბობოქრობს) დანარჩენები სადაა. (ეძებს) ჩემი ცოლი ამ
თევზებზე ნერვიულობას გადაყვა ! არ შეგარჩენ ! დანარჩენები სადაა?!

გოგი-გეფიცებით არ ვიცი....ჩემმა ცოლებმა....(ისევ ზლუქუნებს)

ცერცვაძე-ცოლები სად არიან ! სინამდვილეში არ გყავთ ! ალბათ იმნაირი ხარ ! სხვანაირად
მიყურებდი ! სამზარეულოშიც ქალივით დადიოდი! მანერებზე და მიხვრა-მოხვრაზეც
შეგამჩნიე! ამას არ შეგარჩენ დაპატიმრებული ხარ ! პატიოსან კაცს თამაშობდი!
დაპატიმრებული ხარ ! (ხანმოკლე პაუზა) არა ! მეც რამ გამომასირა, ცოლსაც ვურიგებდი ბიჭს !

(ატირებულ გოგის ცერცვაძე ხელბორკილებს ადებს და სცენიდან გაყავს. სცენა ბნელდება. ისმის
გოგის ქვითინის ხმა.)

სცენა 5

მდივანი ქალი. ცერცვაძე.

ცერცვაძე-მეც ნერვები მაქვს. ციხეშია-თქო ხომ გითხარი.

მდივანი ქალი-ვერ ვიჯერებ თუ გინდა შემაფურთხე.

ცერცვაძე-აქლემს ვგავარ? ვისაც გვეჯრა გაგვატარეთ. ჰა ჰა ჰა ჰა ჰაააა.

მდივანი ქალი-ნუ როხროხებ ერთი. მაგას ვერ დავიჯერებ.

ცერცვაძე-დედა ხომ არ დაგიფიცო, შვილები ან თუნდაც სამშობლო. ა ?! (პაუზა) ვერც მე ვიჯერებდი თავიდან. პატიოსან და წესიერ კაცად გავიცანი. ბაზარში გამყიდველი ქალები ეჩხუბებოდნენ, ეჩხუბებოდნენ რა, სცმედნენ . იმდენად წესიერი იყო რომ, გამოქცევაც ეთაკილებოდა. ძალით წამოვიყვანე მასთან სახლში. რა ვიცი თავიდან არ ეტყობოდა არაფერი. სხვა დროა, ინიღბება ადამიანი-თქო. რას წარმოვიდგენდი.

მდივანი ქალი-ღმერთო მომკალი. რა უნდა შეტყობოდა, რა ?! ან რა უნდა წარმოგედგინა ?! არა, აქ არ დაუჭერიათ,-მთელი ცხოვრება ისე გაატარა რომ...ვერაფრეს შეატყობდი. მანდ რა დააშავა ნეტა? აქ რომ ვერაფერი მოუდეს შარი მანდ გაუჩალიჩეს ეტყობა. შენ მიგაგზავნეს ხო ? ასეა, ასე ! სისტემა ყველგან ერთნაირი ჩამპალია, ყველგან ერთნაირად ყარს. ჯოხი პატიოსან ადამიანზე ტყდება. მიაგზავნიან ამისნაირს და დამთავრდა.

ცერცვაძე-რა სიზმრებს ყვები ერთი. ვინ მიმაგზავნა. რა გაუჩალიჩეს. რადაცას ნუ მტენი. სხვა საქმეებში არ ვერევი.

მდივანი ქალი-ღმერთისშობელო მარიამ შენ მაინც დამაჯერე ! ვერ ვიჯერებ მე !

ცერცვაძე-ქურდი ყოფილა. მარიამი რათ გინდა, მე მოგიყვები. მასთან სახლში ჩემი თეფში აღმოვაჩინე, რომელიც წლების წინ მომპარეს. მეც ავდექი და დავაჭერინე, უფრო სწორედ მე თვითონ განვახორციელე მისი დაკავება და ორგანოში მიყვანა. გასაგებად ვთქვი!

მდივანი ქალი-რაა ? ! შე არაკაცო ! გოგი ?... ეგ როგორ იკადრე და გოგიზე ქურდი იფიქრე. უპატიოსნეს კაცზე ?

ცერცვაძე-შენ ვინ გეკითხება ? ვინა ხარ ? გოგის ბოზი ?

მდივანი ქალი-ბოზი შენთვისთონ ხარ ! პატიოსანი კაცი ციხეში დააჭერინე ! ნეტავი ერთი მანდ ვიყო....

ცერცვაძე-შენ რა გესმის. იმ თეფშების დაკარგვას ჩემი ცოლი გადაყვა, ინერვიულა. არც კი გესმის რა გამოვიარეთ.....ხო და კანონი და სამართლიანობა აღვადგინე.

მდივანი ქალი-ხო და მოგიტყან აღდგენილი სამართლიანობა ! თფუ ! (იფურთხება)

გოგი-ყოჩად გოგი!

მდივანი ქალი-თვითონ რას გეუბნებოდა ? რა გითხრა.

ცერცვაძე-სისულელეებს ბოდავდა. დაბნეული იყო. ამბობდა ჩემი ცოლები მიძახებდნენ ამ თეფშებით და იმათ ვპარავდი რომ აღარ გამოვეძახებინო.

მდივანი ქალი-ჰმ. ცოლებიო ხო ?.....დაგლუპეს გოგიკოო ? ჰმ ისე რაღაც არსებობს ხო იცით...იფიქროს კიდევ თავის ცოლებზე ციხეში. ეხ გოგი, გოგი. რა უნდა ქნა ახლა. (პაუზა) ვინ გეტყვის თბილ სიტყვებს. ვინ გააღვიძებს შენში ნამდვილ კაცს , ა ? ცოლები ! ცოლები ! ტფუ ! რას იზავ ახლა მარტო ?

ცერცვაძე-ვერაფერსაც ვერ იზავს. დაივიწყე. (ირონიით)

მდივანი ქალი-ვინ დაივიწყო ? გოგი ? სულელი ხარ ვიღაც. ასე ადვილია გოგის დავიწყება? სულ რომ ტონობით თეფში მოიპაროს მაინც გჯობია შენ და შენნაირებს. აი ასე . თქვენ რა იცით გოგის და გოგისნაირების ფასი, თუმცა სად არიან გოგისნაირები ? აი შენნაირები ტონა ხუთასი ყრია სდააც გინდა.

ცერცვაძე-საერთოდ არ მიცნობ, ქალი არ იყო.....

მდივანი ქალი-ლანძღვაზე დააჭერინებდი ჩემს თავს ხო ? ჰმ. შენც კაცი უნდა გერქვას და გოგისაც ?

ცერცვაძე-რა გინდა ? არაფერი იცი. რომ გავიცანი მეც წესიერი კაცი მეგონა. ჩემი თეფში რომ ვიცანი ფერი წამივიდა. ეგრევე ჩემი ცოლი გამახსენდა.....შემეშვი ისედაც უხასიათოდ ვარ.

მდივანი ქალი-ხო, ცოლი მარტო თეფშებზე გაგახსენდა ? მოიცა, ცოლი არ გყავს ? თუ მოგიკვდა შენთან ერთად რატომ არაა ? მანდ ?

ცერცვაძე-გაშორებულია. ჩემი დანახვაც არ უნდა. რატომ უკან არ გამომყევო. სულ მარტო ვარ. ხაზეიკებთან ვცხოვრობ.

მდივანი ქალი-თავს მაცოდებ?

ცერცვაძე-ვინა ხარ რომ თავი შეგაცოდო ? არც გიცნობ.

მდივანი ქალი-მე გოგის ყოფილი მდივანი ვარ. ახლა მეც მარტო ვარ შენსავით. გოგის ვიძახებ ხოლმე. (პაუზა) ახლა რა უნდა ქნა არ ვიცი. თვეში ერთხელ მაინც არ გამომძახებინებენ ? ა ?

ცერცვაძე-დაივიწყე.

მდივანი ქალი-ვინ დაივიწყო ბიჭო გოგი ?! ასე ადვილია ? რა გესმის შენ ? არაფერი არ იცი. წლები ვაჩუქე. ეგრე არაა შენ რო გგონია ან შენნაირებს ეს ცხოვრება. ქვეყანა მთხოვნელები მეძლეოდნენ მარა, არ ვქენი ეგ ამბავი. გოგის როგორ მივატოვებდი. გაფიქრებაც ავუკრძალე ჩემს თავს.

ცერცვაძე-დავიწყება აჯობებს. ასე ვფიქრობ მე. ჩემი ჭკუით ასეა.

მდივანი ქალი-(პაუზა) კარგი. დავუშვად და დავივიწყე. მერე? მერე რომ დავივიწყო შენ გამოგიძახო ხოლმე ?

ცერცვაძე-რატომაც არა. გემოვნება არ მაქვს თუ ?

მდივანი ქალი-გოგი ?

ცერცვაძე-გოგი, გოგი.....იმახე ახლა..... რომ ვიჭერდი,, მდივანი ქალიო,, კი არ დაუძახია. სულ ,,ჩემი ცოლებიო,, - გაიძახოდა. ჭკუა არ გაქვს , სულ.

მდივანი ქალი-ჰმ . გოგი , გოგი.....დამაცადე შენ...(თავისთვის ჩაილაპარაკებს ხმამაღლა, ჩაფიქრდება, პაუზაა.)

ცერცვაძე-გოგი , გოგი. (გააჯავრებს)

მდივანი ქალი-სახელი....

ცერცვაძე-რაა ?

მდივანი ქალი-სახელი არ გაქვს? რომ დაიბადე არ დაგარქვეს ?

ცერცვაძე-რათ გინდა? რაში გჭირდება.

მდივანი ქალი-კინოში უნდა დაგპატიჟო. (ირონით)

ცერცვაძე-იუმორი არ გამოგდის. რა გინდა?

მდივანი ქალი-(დაიბნევა) როგორ გამოგიძახო აბა ?

ცერცვაძე-გამომიძახო ? მეე ?

მდივანი ქალი- ხო, შენ. აბა ვინმემ ხომ უნდა მითხრას გოგიზე ამბები. ამიერიდან შენ გამოგიძახებ ხოლმე....

ცერცვაძე-მეე ? ერთი წამით. ერთი წამით. (სარკეში იხედება კმაყოფილი სახით.) დიდი სიამოვნებით. ახლავე შევუდგეთ განრიგის ჩამოწერას. (გახარებული სახით ტრიალდება მაყურებლისკენ და შემდეგ მდივან ქალთან ერთად, რომელსაც ასევე გახარებული სახე აქვს, ხელკავით გადის სცენიდან.)

მდივანი ქალი-(გასვლისას სცენიდან მაყურებლისკენ ტრიალდება და წარმოსთქვამს:) ჰმ. ცოლები. ცოლები.

სეცენა 6

ლიას და ციცოს სიზმარი.

ლია, ციცო, ცერცვაძე, მდივანი ქალი.

(სიზმარში, გოგის სულს იმახებენ ლია და ციცო. გოგის სულის გამოძახებისას მათ ეცხადებათ ცერცვაძე ასევე დიალოგში ერთვება მდივანი ქალი რომელიც ცერცვაძის სულთან ერთადაა.)

ლია-გოგიიი.

ციცო-კიდევ ისე უნდა მოგვექცე ?

ლია-გოგი !

ცერცვაძე-რა გნებავთ ? ღამის სამი საათია.

ციცო-ფუი ეშმაკს ! ფუი ეშმაკს!

ლია-(ციცოს ჩქმეტს იდაყვზე და ჩაულაპარაკებს) რა შეხედულია.

ციცო-გოგიიი ჰმ, არ მითხრა ახლა პლასტიკური ოპერაცია გავიკეთეო...

ლია-აქ არ გაგიწევია მაგ ოხრობა კლინიკებისკენ და...

ციცო-ალბათ ასეთი აღარ მოსწონს ქალბატონს...

ცერცვაძე-ჰმ ქალბატონს ?

ლია-აბა ვაჟბატონს? ციცო, ნიშადური...

ციცო-მოიცადე შენც, დამაცადე გავარკვიო. გოგი შენ ხარ ?

ცერცვაძე-გოგი არ ვარ...თქვენ ვინ ხართ ცოლები ? ჰა ჰა ჰა ჰა ჰააააა სულ მაინტერესებდა...

ლია-როგორ მიხვდი ? (ირონიით)

ციცო-უხ გოგი, გოგი...პირადულსაც საქვეყნოდ ყვები ხო ?

ლია-გოგი-მეთქი ! გოგი !

ცერცვაძე-ნუ ყვირიხართ აქ ის არ გეგონოთ....თქვენი სამზარეულო...

ციცო-შეხედე ამას ? ვინ ხარ რომ ასე გევლაპარაკები? გოგი სადაა ?

ცერცვაძე-პირდაპირ გითხრათ ?

ლია-არა ნელ-ნელა შეგვაპარე შენი ჭირიმე.

ციცო-ოღონდ არ თქვა ორიენტაცია შეიცვალაო, სხვანაირი გოგი წამოვიდა მანდ.

ლია-ღმერთო ჩემო ! ამოლე ხმა კაცო !

ცერცვაძე-საკაცობრიო შეკითხვა . სად არის გოგი.

ციცო-არ გვინდა ახლა ეს ფილოსოფიური დაწყებები. თქვი მალე და გაათავე...მოცლილიები არ ვართ.

ცერცვაძე-ციხეში.

ციცო-რა უაზრო ხარ. ფანტაზიის უნარი მეტი არ გაქვს ?

ლია-რანაირი იუმორი აქვთ მანდ ხალხს, გოგისაც უცნაური იუმორი დასჩემდა.

ცერცვაძე-რა იუმორი. რა ფანტაზია. ციხეშია-თქო ცი-ხე-შიიიი.

ლია-ა. შეხედე...

ციცო-რა უნდა ბიჭო გოგის ციხეში...ან ვინ გაუბედვარა მაგას მანდ ა ? აქ ქყეყანა ძალი და მამამძალი იცნობდა...დავიჯერო მანდ ერთი ვერ ნახა ? რაღაცას ბოდავ.

ცერცვაძე-ხო. ვბოდავ, ვბოდავ...წავედი ახლა, დამაძინეთ, დაღლილი ვარ ისედაც.

ციცო-მოიცა, მოიცა. რა დამძინება, რის დამძინება, თავი ხო არაფერისთვის მიგირტყია ? სადაა-თქო გოგი ? რა უნდა ციხეში ?

(ამ დროს ცერცვაძის სულის გამოძახებისას საუბარში ერთვება მდივანი ქალი. სცენაზე დოინჯით შემოდის.)

მდივანი ქალი-რა უნდა და მოპარული თეფში აღმოუჩინეს.

(ციცო და ლია უცბათ დაფრთხებიან, დაბნეულ და გაოზნებულ სახით შეხედავენ მდივან ქალს.)

ციცო-ეს ვინაა ? (ცერცვაძეს)

ცერცვაძე-(დაბნეულია) თქვენი საქმე არაა...ხომ გაიგეთ უკვე, შემეშვით.

მდივანი ქალი-თეფშებს რომ გპარავდათ...

ლია-ვინაა ეს ქალი? რა უნდა?

მდივანი ქალი-თქვენგან გადაღლილი გოგი.

ციცო-მკვლელობას ჩაგვადენიებს...

მდივანი ქალი-ერთ-ერთი თქვენი თეფში, რომლითაც გოგის იძახებდით და გოგიმ...გადაღლილმა გოგიმ აგწაპნათ, აღმოჩნდა ამ პატიოსანი ადამიანის სახლიდან მოპარული...

ლია-(ციცოს) რა ხდება? ნიშადური...

ციცო-მოიცა ერთი, რა სულ ნიშადური გაკერია პირზე. რაღაცას თამაშობენ.

მდივანი ქალი-არა ქალებო. ეს თქვენ თამაშობთ კარგი ცოლების როლს...ყოფილი თუ....როგორ დავარქვა არ ვიცი...

ციცო-ვინა ხარ შენ ? ან ეს კაცი ვინაა? (ლიას) სიზმარში ხომ არ მოვხვდით ?

ლია-რაღაც შეცდომა ხო არაა?

მდივანი ქალი-კარგათ იყავით გოგოებოოო...

(მდივანი ქალი ცერცვამეს უახლოვდება და ხელკავით გაყავს სცენიდან. სცენა ბნელდება წამიერად. განათებისას სცენაზე ციცი და ლია ახალგაღვიძებული და გაოგნებული სახეებით უყურებენ ერთმანეთს. პაუზაა.)

ციცო-შეცდომაა. გაიღვიძე.

ლია-რა იყო ეს ა ? სიზმარი ?

ციცო-ციხეში ?

ლია-თუ ასეა ჩვენი ბრალი იქნება. იქნებ ყოველ კვირა მართლაც არ უნდა გამოგვეძახებინა ?

ციცო-გაჩერდი ერთი. ნუ მაგიჟებ ისედაც. აბა რა უნდა გვექნა, გვენატრებოდა. (პაუზა)

ლია-თუ ასეა გამოხსნა მოგვიწევს.

ციცო-ისე სულ შეიშალე შენ ? როგორ ? გირაოს გადაუხდი იქ ? თუ პროკურორს იცნობ იქაურს. დაგავიწყდა ჩვენ სად ვართ და ის სადაა ?

ლია- (პაუზაა, ლია დაფიქრებულია.) არ მჯერა. ახლიდან უნდა გამოვიძახოთ. იქნებ სიაფანდები იყვნენ, ბინას ართმევენ ან...ან იქნებ თვითონ იყო სახე შეცვლილი ? იქ ხომ ყველაფერი ხდება.

ციცო-ასე მოვიქცეთ, კიდევ ერთხელ გამოვიძახოთ. სანამ თვითონ არ იტყვის, ან წამოცდება, ჩვენ კრინტი არ დავძრათ, სიტყვა ციხე არ ვახსენოთ.

ლია-რა ვიცი. რა ვიცი. ეგრე ვქნად.

ციცო-დავიფიცოთ რომ გოგისთან სიტყვა ციხეს არ ვახსენებთ. რას გვეტყვის ერთი.

ლია-ვფიცავ !

ციცო-ვფიცავ!

(ელვიძებათ და შემდეგ ტექსტს ამბობენ-„სასწრაფოდ უნდა გამოვიძახოთ..“)

(სცენა ბნელდება)

სცენა 7

საიქიო, საკანი.

(გოგი ზის საწოლზე, იქვე დევს თეფში.)

გოგი-არ გჯერავთ ?

თეფში-ნუ სულელობთ. დიდი ხართ, არ შეგეფერებათ.

გოგი-გეფიცებით.

თეფში-როგორ, ასე უცბად ? დღეს ხომ პირველად...

გოგი-რომეო და ჯულიეტა არ წაგიკითხავთ ? შექსპირი გიჟი გგონიათ ?

თეფში-დავიბენი.

გოგი-თქვენც მესმის.

თეფში-არც ვიცი რა გითხრათ, მთლად ავირიე.

გოგი-სხვაც არსებობს ხო ?....რა არის ასარევი ?...

თეფში-ჩემი გამოტეხვა გინდათ? არ გამოგივით. პირდაპირობას ვაფასებ.

გოგი-ავნერვიულდი, მომიტევეთ. თავი ზღაპარში მგონია.

თეფში-ზღაპრები გიყვარდათ ?

გოგი-როგორ გითხრათ, ბებია მიკითხავდა. მას მერე აღარავის წაუკითხავს.

(გოგი თეფშს ხელს წაატანს.)

თეფში-თავი მოთოკეთ. მალე მომაკითხავენ.

გოგი-ხომ ისევ მოხვალთ.

თეფში-სალამოთი სხვაგან ვარ, ნუგზართან.

გოგი-ჰმ. ქართველია ხო ?

თეფში-ეჭვიანობთ.

გოგი-რა უიღბლო ვარ.

თეფში-თავისი პრობლემები აქვს. ცოლი და სამი შვილი ყავს. ისე ჭამს მეც არ მიყურებს.

გოგი-არ ვიცი. არ ვიცი. (თავს ჩახრის.)

თეფში-რატომ ჩაფიქრდით ?

გოგი-ცოდო ხართ ამ დამნაშავეებში.

თეფში-ამაყი ხართ. დიდი წარმოდგენა გაქვთ თქვენს თავზე.

გოგი-რატომ ?

თეფში-მართო თქვენ ხართ სპეტაკი, სხვები კი დამნაშავეები ? თქვენც ხომ დამნაშავე ხართ ?

გოგი-ნუ გამანადგურეთ. თქვენზე ვზრუნავ.

თეფში-მე არაფერი მემუქრება. ნუ განიცდით.

გოგი-მაწამებთ. მცდით როგორი ნერვები მაქვს. იქნებ დამინდოთ.

თეფში-წუ წუ წუ წუ.

გოგი-ხელში ჩამიგდეთ. მოსვენება აღარ მაქვს . თქვენ კიდეც....

თეფში-ნუ მახნევთ. მეც მაქვს პრობლემები... (პაუზაა)

გოგი-ხვალ, დილიდან მოხვალთ ?

თეფში-წინასწარ არ ვგეგმავ. ხომ იცით მთლად ჩემზეც არაა დამოკიდებული.

გოგი-რა უსამართლობაა ! უხ ! (გისოსებს უყურებს) გინდათ გისოსები დავლუნო ?

თეფში-მკვებარაც ხართ ?...საგანგებოდ დამზადებული გისოსებია.

გოგი-რადაცით ხომ უნდა მოგაწონოთ თავი. ავიბლანდე სულ. ბავშვობაში მძლეოსნობაზე დავდიოდი, თანრიგოსანი ვარ. ვერავინ მჩაგრავდა.

თეფში-კიდეც ?

გოგი-შვიდწლედ იც მამათავრებული. ფორტეპიანოზე დაგიკრავთ . ბახის ტოკატა და ფუგა მიყვარს, საოცარი დასაკრავია.

თეფში-კლასიკური მუსიკა მეც მიყვარს. დაკვრა არ ვიცი, მოსმენა კი. მაგრამ აქ სად მოუსმენს ადამიანი. მარტო ტელევიზორებიაქვთ ჩართული და საინფორმაციოებს უსმენენ სულ. არაფერი აინტერესებთ სხვა. თანამედროვე მუსიკას ვერ ვიტან, ელექტრონულებს და რაღაცეებს.

გოგი- კლასიკა გიყვართ. თქვენი გემოვნება შემიყვარდა. (აფორიაქებულია) არ ვიცი პირდაპირ.....(პაუზა) გაგიმხელთ, სამეჯლისო ცეკვებზეც დავდიოდი, დედამ შემიყვანა. არ გჯერავთ ? აი...(იწყებს ცეკვას მარტო, სამეჯლისო ცეკვის ერთ-ერთ სახეობას ასრულებს, ცეკვის ბოლოს მიდის თეფშთან დე ხელს სთხოვს ცალ მუხლზე დამდგარი.)

თეფში-გაგწითლდი, გეყოფათ. იცოდეთ დავიძახებ და გამაბანცალებენ აქედან.

გოგი-ჩემი სიკვდილი გინდათ ? მიდით !

თეფში-გაჩერდით. თქვენში რაინდობა არ ზის.

გოგი-ეგეც შემიძლია. ერბო კვერცხსაც ვამზადებ.

თეფში-ვითომ ?

გოგი-ნუ მაწბილებთ. ისედაც ზღაპრული დღე მაქვს. თქვენი დაცინვა არ წამადგება.

თეფში-კარგით ახლა.

გოგი-თავს მოვიკლავ. (ჭერს უყურებს.) ბაწარი არაა ?

თეფში-შემოგიტანოთ ?

გოგი-უკვე გამწირეთ ?

თეფში-სულელი ხართ. ჯოჯოხეთის არ გემინიათ?

გოგი-უთქვენობაა ჯოჯოხეთი სწორედ. (პოეტურად წარმოსთქვამს)

თეფში-ვერ ვიტან სენტიმენტებს. ასე იცით სულ.

გოგი-მე სხვებს არ ვგავარ. პატივი მეცით.

თეფში-ნამეტანია. ანგელოზი მოხვდით ?

გოგი-სწორედაც.

თეფში-აქ ყველა მასე ამბობს. სხვებისნაირი ყოფილხართ.

გოგი-ნუ მეჩხუბებით. ისედაც არ ვიცი რა ვქნა.

თეფში-თუ გინდათ წავალ.

გოგი-ეგ არ მიფიქრია. თქვენზე ვფიქრობ.

თეფში-მორჩით ახლა. უნდა წავიდე, წყალი გადავივლო, ავცროლდი.

გოგი-ნუ წახვალთ.

თეფში-იქნებ ოჯახი მყავს.

გოგი-მაშინ აქ არ იმუშავებდით. არ ვტყუვდები.

თეფში- მეგობრები მელოდებიან.

გოგი-კინოში მიდიხართ ? რა ჟანრის ფილმები გიყვართ.

თეფში-არა, სამძიმარზე. კლსიკური ფილმები. პაზოლინის „მამა რომა,, მიყვარს.

გოგი-(დაბნეულია) რა განათლებული ხართ. აქ არ უნდა იყოთ.

თეფში-ფილმები ბავშვობიდან მიყვარს.

გოგი-ხვალ ხომ აუცილებლად მოხვალთ. არ გამაწბილოთ.

თეფში-მემასხრებით ?

გოგი-არა. ისე საბავშვო ბაღში მასხარას როლი მქონდა . მაპატიეთ, გამომყვა რაღაცეები...

თეფში-ბაღში არ მივლია. დედას არ უნდოდა.

გოგი-რა ეგოისტობაა.

თეფში-ბავშვებს ფანჯრიდან ვუყურებდი ხოლმე.

გოგი-ახლა ვიტყვებ.

თეფში-გულჩვილიც ხართ ?

გოგი-აქ რომ ვზვივარ გგონიათ გული არ მაქვს? აი. (გულზე მჯიღს იცემს)

თეფში-ჩემი წასვლის დროა. უნდა დავაკაკუნო.

გოგი-სულ მარტო ვარ. არავინ მყავს.

თეფში-(აკაკუნებს) რატომ არავინ მოდის .

გოგი-ყველაფერს მოგიყვებით. გულს გადაგიშლით.

თეფში-ასე არ იგვიანებენ ხოლმე.

გოგი-ორი ცოლი მყავდა. თანამდებობიდან დამითხოვეს. ნერვიულობას და სმას გადავყევი.

თეფში-(კიდევ აკაკუნებს) არის ვინმე?

გოგი-ვილაც ვიგინდარას წყალობით აქ მოვხვდი. ჩემი ბრალი არაა. თავისი თეფში იპოვა ჩემს სახლში. მანამდე გემრიელად ვაჭამე, დავალევიწე და მერე დამაპატიმრა. დამნაშავე არ ვარ. (ქვითინს იწყებს)

თეფში-ნუ ქვითინებთ. არ მიყვარს მამაკაცის ტირილი. ფილმებსაც კი არ ვუყურებ მასეთი სცენის.

გოგი-მეტირება. სიყვარულისგან.

თეფში-კარგით ერთი.

გოგი-არავინ დამრჩა. ნამდვილი სიყვარული მეწვია.

თეფში-ცოლები ?

გოგი-მათ დამღუპეს. ცოცხალმა არსებებმა. მხოლოდ თქვენ მიყვარხართ. სხვა გრძნობაა.

თეფში-თქვენზე პატარა ვარ.

გოგი-სიყვარულმა ასაკი არ იცის. ეს ხომ გაგიგიათ.

თეფში-როგორ ვირწმუნო. არეული წარსული გაქვთ. არც კი გიცნობთ.

გოგი-გოგი მქვია. შვილი არ მყავს. ყველა გამორჩენით მიყურებდა. კეთილი გული მაქვს.

თეფში-თავს ასე მაწონებთ?

გოგი-ავიბენი ერთბაშად. საიდან დავიწყო არ ვიცი.

თეფში-კარგად უნდა გაგიცნოთ.

გოგი-ორ ოთახიანი ბინა მაქვს. წესიერ ოჯახში აღვიზარდე. ავეჯიც ძველებური მაქვს.

მამას ინტელიგენტური შეხედულება ქონდა. დედა პედაგოგი იყო. შეხედული კაცი ვიყავი.

(იწევს , თეფშს უნდა შეეხეოს.)

თეფში-ხელით არ შემეხოთ. ჯერ ხელი არავის დაუდია. რა მსუბუქი ხართ.

გოგი-ძალიან შემეყვარდით. თქვენს იქეთ გზა არ მაქვს.

თეფში-ვერ ვიჯერებ. ასე უცეფ არ ხდება. ჩემს შინაგანს არ იცნობთ.

გოგი-ვიცნობ. ჯარში ადამიანების ამოცნობას გვასწავლიდნენ. სადაზვერვო ბრიგადაში ვმსახურობდი.

თეფში-ყველა კაცი მაგას ამბობს.

გოგი-როგორ, სულ ოცდაათნი ვიყავით ბრიგადაში. აქედან ერთადერთი ქართველი თეფში-ნუ მასხრობთ.

გოგი-უფრო გულჩვილი გავხდი. ცხოვრებას სხვანაირად ვუყურებ. წინა შეცდომებს აღარ დავუშვებ. ყველას საკადრის პასუხს გავცემ. მიყვარხართ. ცოლად უნდა შეგიერთოდ. მეტი აღარ შემიძლია, დავიღალე.

თეფში-ცოლად ? უჩემოდ გადაწყვიტეთ?

გოგი-ხომ გითხარი, აბნეული ვარ. სიბრაღე არ გაქვთ.

თეფში-თავს მაცოდებთ.

გოგი-გრძნობებს მითელავთ. ამაღამ რას ვიზავ არ ვიცი. თავს ჩამოვიხრჩობ.

თეფში-ვერ იზავთ, თოკი არ გაქვთ. თანაც კამერიდან გიყურებენ.

გოგი-იქნებ შემომიტანოთ კიდეც.

თეფში-რა ირონიაა.

გოგი-გადავედი ჭკუიდან. კაცის სახე აღარ მაქვს. მაშინ თქვენ მომკალით.

თეფში-მთლათ შეიშალეთ. ქალების ციხე აქვეა, სამოცდაათმეტრში.

გოგი-ძალინ კარგი. აქ ხომ აღარ იმუშავებთ სამაგიეროდ. პატიმარი იქნებით ჩემსავით, გავთანაბრდებით.

თეფში-მერე როგორ მინახულებთ ? თქვენ ხომ სული იქნებით

გოგი-ქალის კაბას გადავიცვამ. მაგაზეც წამსვლელი ვარ , შემოვიპარები .

თეფში-რა სასაცილო იქნებით.

გოგი-ამას რა მნიშვნელობა აქვს.

თეფში-სტყუით ! საკნიდან რომ გამოაღწევთ გაიპარებით. მე აღარ გემახსოვრებით. გაფრინდებით.

გოგი-არ გავიპარები, არც გაფრინდები. დაგავიწყდათ რომ უკვე მკვდარი ვარ. (პაუზა) ყოველდღე შემოდით, გეხვეწებით. სულ აქ ვიცხოვრებ. ყველაფერმა ფასი დაკარგა.

თეფში-ჩემი გულის აჩუყებას ცდილობთ.

გოგი-სხვა გზას არ მიტოვებთ.

თეფში-მორჩით.

გოგი-არასდროს გყვარებიათ ? რას ქვია მოვრჩე. მიყვარხართ.

(პაუზაა, სიჩუმე ჩამოვარდება.)

თეფში-რანაირი დღე მაქვს. სიყვარული პირველად ამიხსნეს. არ ვიცი რა ვთქვა. გაცნობისა და დაოჯახების ცენტრშიც ვიყავი ერთხელ, მაგრამ უმედოთ წამოვედი. სულ ქალები დამხვდნენ. (პაუზა) ასე რომ თქვენ პირველად გამომიტყდით სიყვარულში. ამბობენ ყველაფერი პირველი განსაკუთრებულიაო. (მაღლა იხედება მიამიტური სახით.)

გოგი-პირველად ? მართლა ? (შეჰყვირებს და ხტუნაობას იწყებს.)

თეფში-ნუ ცუნდრუკობთ. არ გიხდებათ. ქონები გითამაშებთ.

გოგი-თავს ვერ ვაკონტროლებ. სიმძაფრემ მიმატა. თქვენი თავი წარმოიდგინეთ ჩემს ადგილას, შეყვარებული კაცის ადგილას და მერე მელაპარაკეთ.

თეფში-ხომ გითხარით, არ შეგშვენით. პატარა ხომ არ ხართ.

გოგი-სათქმელად ადვილია. ჩემიც გაიგეთ. ყველა შეყვარებული კაცი პატარა ბავშვივითაა. აი ისე, მეორე კლასში რომ უყვართ ხოლმე.

თეფში-რამ გადაგრიათ.

გოგი-სიყვარულმა. კიდეც გავიმეორე.

თეფში-ვერ ვიჯერებ. ასე უცბად არ ხდება. გრძნობაა ის ხო არაა.

გოგი-რომეო და ჯულიეტა არ წაგიკითხავთ ?

თეფში-მერამდენედ მეკითხებით? უწიგნური გგონივართ? დედამ წამაკითხა ბავშვობაში ჯერ კიდეც. ზღაპრების არ მჯერავს.

გოგი-თავს რომ მოვიკლავ მერე დამიჯერებთ ?

თეფში-ნუ სულელობთ. მშიშარა არ ვარ.

გოგი-ხვალ ხომ მოხვალთ.

თეფში-არ ვიცი. არეული ვარ. ჩემზე არაა დამოკიდებული.

გოგი-(ჩურჩულით) დარჩით, გთხოვთ. არ წახვიდეთ.

თეფში-რა ? რას მეუბნებით. ამაღამ დავრჩე ?

გოგი-არ მინდა რომ წახვიდეთ.

თეფში-ღამე აქ გავატარო , თქვენთან ?

გოგი-არავინ მყავს. სულ მარტო დავრჩი. მიყვარხართ.

ლია-არ დავუყვიროთ, მიზეზი არ მივცეთ.

ციცო-მართალი ხარ. გოგიკოლოო(ლიას ჩასჩურჩულებს) კი მაგრამ თუ ციხეშია იქიდან გამოუშვებენ სულს ?

ლია-ჩუ ! ჩუ! გაჩერდი ერთი. სული სულია...რა დაემართა ნეტა.

ციცო-არა....რაც ხდება მის თავს. მართალი გითხრა, ბოლოს არ მომეწონა მაგის აგდებული ლაპარაკი. არ იცოდა.

ლია-ხო, უცნაურად გველაპარაკებოდა. ის გოგი არ იყო. წრე შეიცვალა, სნობებთან მოძრაობს მგონია.

ციცო-ირონიული ჩანდა.

ლია-თითქოს დაგვცინოდა.

ციცო-არა, რა გჭირს მაგის დასაცინი... რაც იქ არის გონება აქვს არეული, ვერ გავიგე მკვდარია თუ ცოცხალი.

ლია-უხ ერთი შეგვეძლოს იქ წასვლა.

ციცო-გაჩერდი. ღმერთმა დაგვიფაროს. ჯერ იქ რა გვინდა.

ლია-არა და ხელიდან გვისხლტება კაცი....რალა რა გვინდა შე ქალო. კაცს თუ კარგად არ ჩაავლე...მერე იყავი ციური ქამხაძესავით და სდიე ბორდელ-ბორდელ.....ჩემი თანამშრომელი იყო ერთი, სასკვებაში ერთად ვმუშაობდით. მთელი ცხოვრება ღრუბლებში იყო....მერე კი იცოცხლე...

ციცო-უხ ! გული ცუდს მიგრძნობს. არა და მკვდარია, ამაზე მეტი ცუდი რა უნდა მოხდეს. (პაუზა) არა, ხომ ნამდვილად მკვდარია არა ! ძილში ხომ არ ვართ ამხელა ხალხი.

ლია-ეეჰ. მკვდარია, მკვდარი ჩვენი გოგი.

ციცო-ჰმ, ჩვენი ? საკითხავი აი ეს არის. ეჰ, ზოგი მკვდარი ისეთი ოხერია ბევრ ცოცხალს ჯობია. ასეა გოგის საქმე.

ლია-მაგრამ რა ეტყობა მაგას მკვდრის. (პაუზა) ჰმ მკვდარი რომ არ მოგასვენებს...

ციცო-მგონი ჩვენ უფრო ვართ მკვდრები, ვერაფრეს ვიგებთ.

ლია-არ ვიცი რას უნდა ნიშნავდეს მაგრამ.....(პაუზა)

ციცო-ამოდერლე ოღონდ.

ლია-ბოლოს რამდენჯერაც ვნახე სიზმარში, ირგვლივ სულ ვარდის ფურცლებით მიმოფანტულ ოთახში იწვა და ნებივრობდა. თითქოს არაფერი ადარდებდა. თითქოს მკვდარი არ იყო...

ციცო-დარდი არც აქ იცოდა, სანამ უკან-უკან არ წავიდა... მაგან დარდის რა იცოდა.(ნაღვლიანი სახით)

ლია-ხო მაგრამ, რაღაც სხვა გარემოში იყო. თითქოს არა ამქვეყნიურში.

ციცო-არაამქვეყნიურშია და რა გიკვირს მაშინ. ისე რატომ მოიკლებდა რამეს ნეტავ ვიცოდე ?

ლია-ჩვენ კი გვაგაჟებს და გვანერვიულებს აქ. რა ვიცი ერთი.

ციცო-მარტო იყო ?

ლია-სად ? (დაიბნევა)

ციცო-სად და იმ ვარდისფურცლებიან ოთახში. მარტო იყო-თქო ?

ლია-მგონი კი. რამდენჯერაც ვნახე თვალი ამიჭრელდა, თავბრუ დამეხვა და გამომეღვიმა იმ წამს. არა, არავინ იყო, თანდათან მახსენდება. ისე სამოთხე თუ ასეთია ვერ გავუძლებ. თავბრუხვევები შემაწუხებს.

ციცო-კიდევ კარგი. მაგრამ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. მარტო კაცია, რამდენი ახალგაზრდა გოგოა იქ, წასული...ჩაეპრანჭებიან და... ამასაც უნათდება ეგრევე თვალები. ბოლოს ასე იყო. მიუჯდებოდა ახალგაზრდულ გადაცემებს და თვალს არ აშორებდა...ვეკითხებოდი, რა გესმის ამ ახალგაზრდების-თქო და...არა მე კი ვხვდებოდი მაგრამ...

ლია-კარგი ახლა, მთლად ნუ შემშალე. ისედაც ვეღარ ვარ ქალი. ლამის ეს თეფში დავამტვრიო.

ციცო-გაგიჟდი . დავჯარიმდებით და ერთი წელი ვეღარ ვეღირსებით გოგის ხმას. ამ საქმეს თავისი წესები აქვს.

ლია-აბა რა ვქნად ? ჩამომეძინა უკვე, ლამის სამი საათია. საცაა წნევაც ამიწევს. ამ დროს მაკითხავს ხოლმე.

ციცო-კიდევ ვცადოთ. არ მოვეშვები. რა დროს წნევას, ყავა დალიე. (პაუზა) ისედაც ცუდ დროს დამტოვა მარტო. მეც ჩემი ანგარიშები მაქვს.

ლია-გაჩერდი, მე დამტოვა და შენთან გამოიქცა.....მთელი ცხოვრება თეფშზე უნდა მეძინოს მაგ მიზეზით აბა?...არა. არ უყვარს ჩვენი ეს ლაპარაკები. შეიძლება უკვე აქაა და გვისმენს კიდევ, ხმას არ იღებს. ხომ იცი სჩვევია მასეთები. რაზვეტჩიკს ვეძახდი, მოპარვა უყვარდა უკნიდან და...

ციცო-არ გამახსენო. ერთხელ ხალხში ისე შევრცხვი რომ.... შუა ბაზარში მომეპარა და ტრაკზე ხელი მომცხო. გაწითლდი მარა ისეთი საყვარელი სახე ქონდა, ვერ გავუბრაზდი.

ლია-უცნაური ხუმრობები უყვარდა...ეგ რა არის, ერთი კაცი ყავდა ამოჩემებული...პატარა გაქვსო...თურმე ერთხელ მოფსმის დროს დაუნახია და მას მერე არ ახარებდა კაცს...

ციცო-ხო მაგაზე მაგრად კომპლექსდებიან კაცები. ეგ კი არა და აზიელი კაცები სულ დაკომპლექსებულები დადიან თურმე. მაგენს პატარები აქვთ, თორმეტი-ცამეტი სანტიმეტრი ასე...ჩემ მეზობელ ნანამ მითხრა.

ლია-ჰა ჰა ჰააა...ქალები ვართ ახლა ჩვენ ? რეებზე ვლაპარაკობთ ა ? ვაიმე გოგი, გოგი...ეხ. (პაუზა) მე მგონი აქა...(პაუზა)

ციცო-(მაღლა იხედება) ხოოოოოდააააა თუ აქა ვეკითხები-თ, გოგიიიი, ძვირფასო გოგიიიი, სად დაიკარგე გეთაყვა ?

ლია-ამას შენი პირველი და მეორე ცოლი გეკითხებით. გესმისიიის . გოოოოიიიიიი. შენთან ოფიციალურ, ქორწინებაში რეგისტრირებული ცოლები და არა ვიღაცეები გოოოიიიი.

ციცო-ვიცით რომ აქ ხარ. ამოიღე ხმა კაცო. არაფერს გკითხავთ.

ლია-არა, სახლზე უნდა გკითხო მაინც. ბინა ხომ არ გამოცვალე. შპალერის ფერი მაინც მითხარი.

ციცო-გოგი, გეხუმრება, არაფერსაც არ გკითხავს. (თვალით ანიშნებს ლიას რომ გაჩერდეს.) ამოიღე ეხლა ხმა.

ლია-კარგი, არაფერს გკითხავ. მაგრამ არ მომწონს შენი არ გამოჩენა.

ციცო-არაა ეგ კარგი საქციელი. რას გავს.

ლია-თუ აღარ გინდევართ გვითხარი მაინც და....!

(სცენაზე სიჩუმე ჩამოვარდება. სცენა წამიერად ბნელდება და შემოდის გოგი, რომელსაც გულთან ჩახუტებული აქვს თეფში, თეფშის ნამტვრევები.)

ციცო-გოგიიი (გაოცებული სახით)

ლია-გოგიკო. ამოიღე ხმა.

გოგი-შეყვარებული ვარ.....

ციცო-რაა ?

ლია-ამას უყურე !

(სცენაზე ციცო და ლია გოგისკენ გაიწევენ.)

გოგი-არ მომეკაროთ ! ღირსებას შევიღახავ. ყველაფრის ჩამდენი ვარ. რატომ ? იმიტომ რომ შეყვარებული ვარ. მხოლოდ შეყვარებულებს შეუძლიათ ყველაფერზე წასვლა. მხოლოდ შეყვარებულებს შეუძლიათ თავმოყვარეობის შეღახვა...ამაყები ამას არ აკეთებენ...ამაყებს ნაკლებად შეუძლიათ სიყვარული ან საერთოდ არა...ხო და შემეშვით...გესმით შემეშვით....

(პაუზაა. ლია და ციცო თეფშისკენ ხელს იშვერენ, გაოგნებული სახით მაცურებლისკენ ნელა ტრიალდებიან , შემდეგ ერთმანეთს შეხედავენ...)

ციცო-არა, დავაკელით რამე ?

ლია-ყოველ კვირა არ უნდა გამოგვეძახებინა.

გოგი-მორჩა ! ფინიტა ლა კომედია !

ფარდა